საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
GEORGIA
Rustavi Municipality City Assembly
Finance – budgetary Commission

N 2752-02
09/03/2020

რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ლევან ონიანს

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 9 მარტს გაიმართა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის რიგით #48 სხდომა, რომლის დღის წესრიგით განხილულ იქნა ერთი საკითხი

-ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

> საკითხის შესახებ

შემოსავლების გეგმა შესრულდა გადაჭარბებით, ხოლო გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციით შესრულებულია 94.4 %-ით, საიდანაც კონკრეტული მუხლები დაფინანსებულ იქნა მეტ-ნაკლებად თანაბრად 91 და მეტი პროცენტით.

გადასახდელების გეგმა ფუნქციონალური კლასიფიკაციით შესრულდა 74%-ით, საიდანაც კონკრეტული მუხლები დაფინანსდა მეტ-ნაკლებად თანაბრად 86%-დან 97%-მდე.

ცალკეული მუხლების დაფინანსება ხდებოდა მოქმედი პროგრამების და მოთხოვნების შესაბამისად. იმ პროგრამებზე, სადაც თანხის აუთვისებლობა აღემატება 30%-ს, წარმოდგენილია შესაბამისი განმარტება.

განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, კომისიამ დამაკმაყოფილებლად მიიჩნია 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს ბიუროზე გატანას.

პატივისცემით,

გრიგოლ ვეფხვაძე

საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო